ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 37241733**
თარიღი:**21/06/2024**

# **დ ა ს კ ვ ნ ა**

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 21 ივნისს განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტი.

ცვლილების მიღების საფუძველს წარმოადგენს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება(ამოქმედდა 2023 წლის 9 თებერვლიდან), რომლის თანახმადაც კანონის მეხუთე მუხლის „ე“ პუნქტში სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე მოხდა ქვეპუნქტობრივი ჩაშლა.

გამომდინარე აქედან ნორმატიული აქტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში შევიდა შესაბამისი ცვლილება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტის შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი